ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. დეკემბრის 20 № 33 ტფილისი

## შინაარსი


### სახელმწიფო წყობილება

240. ტფილისის რაიონის დამოუკიდებელ ად-მინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულად გამოყოფის შესახებ.

### მრეწველობა

241. სამრეწველო გაწყობილობის აღწერის დაჩქარების შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

242. საქართველოს სსრ-ში 1934 წლის შემოდგომაზე და 1935 წლის გაზაფხულზე ფარიანი მავნებელის წინააღმდეგ გამანადგურებელ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.

243. მინდვრის თაგვებთან ბრძოლის შესახებ.

### ვაჭრობა. მომარაგება

244. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათა მონაწილეობის წესის შეცვლის შესახებ.

### ტრანსპორტი

245. 1934 წლის ნოემბრის 7—9 რევოლუციონური დღესასწაულის დღეებში ამიერკავკასიის რკინის გზების სადგურებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების უზრუნველყოფის შესახებ.

### ფინანსები

246. იმ ნუსხის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ, რომელშიაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ქონება, რაზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

247. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე" გამოცემული დადგენილების 83 მუხლის ამოშლისა და 43 და 57 მუხლების შეცვლისა და ამავე დადგენილებისათვის მე-8 მუხლის მე-2 შენიშვნისა და $35^1$ მუხლის დამატების შესახებ.

248. 1934 წლის შემოდგომაზე ნათესი საგაზაფხულო კულტურების სავალდებულო საგადასახადო დაზღვევის შესახებ.

### განათლება

249. სარკინიგზო ტრანსპორტის სკოლებისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

250. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

### სოციალური უზრუნველყოფა

251. პერსონალური პენსიების დებულების მე-16 და მე-20 მუხლების შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა**

**252.** მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

**სისხლის სამართალი**

**253.** სისხლის სამართლის კოდექსის 84[1] მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ.

**სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება**

**254.** იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

## სახელმწიფო წყობილება

### 240. დადგენილება ც.ა.კ.

**ტფილისის რაიონის დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულად გამოყოფის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ტფილისის რაიონი გამოყოფილ იქნეს დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულად, ცენტრით ქ. ტფილისში, და უშუალოდ დაექვემდებაროს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. მოეწყოს ტფილისის რაიონში ხელისუფლების სარაიონო ორგანოები საერთო საფუძველზე, რომელიც დადგენილია დებულებით საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ, ხოლო ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო დაშლილ იქნეს.

3. გაუქმებულ იქნეს:

1) კარი I მუხ. 1, პ. პ. „ა“, „ბ“ და „გ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 16-ის დადგენილებისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის გაუქმების შესახებ (საქ. სსრ. კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 232; მე-19 №-ი, მუხ. 287) და.

2) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმარსულებელი კომიტეტის 1932 წლის იანვრის 20-ის დადგენილება ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭოს დაარსების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 117).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ნოემბრის 16
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 265 №-ში 1934 წ. ნოემბრის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრეწველობა

## 241. დადგენილება ს.კ.ს.

### სამრეწველო გაწყობილობის აღწერის დაჩქარების შესახებ.

ზოგიერთი უწყება, ორგანიზაცია და საწარმო ყოვლად შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენს სამრეწველო გაწყობილობის აღწერისადმი, რაც ამჟამად სწარმოებს. განსაკუთრებით ეს შეეხება შავი ქვის ტრესტს, „საქბარიტს", ყაზბეგის ანდეზიტს, ტფილისის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკას, ფეხსაცმლის № 2, სატყეო ტრესტის საწარმოთ, ხორცის კომბინატს ტფილისში, საპნის კომბინატს, 26 კომუნარის ქარხანას და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთ დაუყოვნებლივ მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა მათ ქვემდებარე სამრეწველო საწარმოებში სამრეწველო გაწყობილობის აღწერა დამთავრებულ იქნეს დაწესებულ ვადაზე (საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მოთხოვნით სპეციალური მომუშავეებისა, ინჟენრებისა და ეკონომისტების მივლინება) და რათა სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაჰბარდეს აღწერის სრული და კარგი ხარისხის მასალა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს იხმაროს ღონისძიება, რათა იმ საწარმოთა დირექტორები და აღწერისათვის პასუხისმგებელი მომუშავენი, სადაც აღწერა არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს, მიცემულ იქნენ არსებული წესისამებრ სადისციპლინო პასუხისგებაში, ხოლო ის პირნი, რომელნიც აღწერისათვის დაწესებულ საორგანიზაციო გეგმასა და მუშაობის პროგრამას დაარღვევენ, რაც გამოიწვევს აღწერის დამთავრების ვადების ჩაშლას და აღწერის მასალების დაბალ ხარისხს, მიცემულ იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ოქტომბრის 15-თვის მოხსენება სამრეწველო გაწყობილობის აღწერისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1934 წ. ოქტომბრის 11.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

## 242. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ში 1934 წლის შემოდგომაზე და 1935 წლის გაზაფხულზე ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ გამანადგურებელ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.**

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ გამანადგურებელ ღონისძიებათა ჩატარებისა და მისი შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს 1934 წლის შემოდგომაზე და 1935 წლის გაზაფხულზე სავალდებულო წესით ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა 5.400 ჰექტარზე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

2. ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა ჩატარებულ იქნეს საბჭოთა, კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში, ციტრუსოვანებზე, ევროპული და სუბტროპიკული ხილის და თხილის კულტურების ფართობებზე; ხოლო იმ პუნქტებში, სადაც მოდებულია ფარიანი მავნებელი, ბრძოლა ჩატარებულ იქნეს ყოველგვარი მცენარეულის მიმართ (როგორც კულტურული, ისე არა კულტურულისა).

3. ფარიანი მავნებლის საწინააღმდეგო ბრძოლა ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით დადგენილ ვადაზე.

4. პასუხისმგებლობა ფარიან მავნებელთან ბრძოლის თავის დროზე და წესიერად ჩატარებისათვის დაეკისროს: საბჭოთა მეურნეობებში—ამ მეურნეობათა დირექტორებს; იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ,—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს; დანარჩენ კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სასოფლო-საბჭოების თავმჯდომარეებს.

5. ფარიან მავნებელთან ბრძოლას აწარმოებენ უშუალოდ თვით მეურნეობანი თავიანთი ძალით და სახსრით.

**შენიშვნა.** ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საკავშირო ბიუჯეტით გამოყოფილ თანხას ანაწილებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საორგანიზაციო ხარჯებისათვის, აპარატურის და შხამების შესაძენად მცირეძალოვანი კოლექტიური და ერთპიროვნულ მეურნეობათათვის.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს—გამოყონ ფარიან მავნებელთან ბრძოლისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად საჭირო რაოდენობის აგრონომიული პერსონალი დი მიამაგრონ იგი განსაზღვრულ ნაკვეთზე სამუშაოთა ჩატარების პერიოდში.

7. ამა დადგენილების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო წესით—ჯარიმას 500 მანეთამდე ან იძულებითს მუშაობას ორ თვემდე, რაც დაიდება ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხლი 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველყოს რაიონების მომარაგება საჭირო შხამებითა და აპარატურით;

ბ) გამოსცეს ფარიან მავნებელთან ბრძოლის ინსტრუქცია და უზრუნველყოს ადგილები ხელმძღვანელობით;

გ) დაამყაროს საკარანტინო ინსპექციის მეშვეობით სისტემატური კონტროლი ფარიან მავნებელთან ბრძოლის ჩატარებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. ნოემბრის 22

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 27? №-ში 1934 წ. ნოემბრის 26.

## 243. დადგენილება ს.კ.ს.

### მინდვრის თაგვებთან ბრძოლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს რა, რომ 1934 წლის შემოდგომაზე მინდვრის თაგვებთან ბრძოლა ფრიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ამასთანავე არის ისეთი რაიონებიც, სადაც ამ ბრძოლას ჯერ კიდევ არ შესდგომიან, და რომ ასეთი მდგომარეობა დაღუპვის საფრთხეში აგდებს შემოდგომის ნათესებს, ადგენს:

1. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათ—მიაღწიონ უმოკლეს ვადაზე ძირითად გარდატეხას მინდვრის თაგვებთან ბრძოლის საქმეში—ისეთი ვარაუდით, რომ ეს კამპანია დამთავრებულ იქნეს ა/წ. დეკემბრის 15-თვის.

2. პასუხისმგებლობა ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის დაეკისროს: საბჭოთა მეურნეობებში—ამ მეურნეობების დირექტორებს; იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგუ-

რები უწევენ,—ამ სადგურების დირექტორებს, ხოლო დანარჩენ კოლექტიურ მეურნეობებში, ერთპიროვნულ მეურნეობებში და სახელმწიფო ფონდის მიწებზე—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

დაევალოს აღნიშნულ თანამდებობის პირთ:

ა) უზრუნველყონ მინდვრის თაგვებთან ბრძოლის სამუშაოები აგროტექნიკური პერსონალით;

ბ) დაყონ ბრძოლის ფართობები ნაკვეთებად და თვითეულ ნაკვეთზე მიამაგრონ თანამდებობის პირნი, რომელნიც პასუხისმგებელი იქნებიან მინდვრის თაგვებთან ბრძოლის საქმისათვის;

გ) უზრუნველყონ რაიონები შხამებით, მასალებით (ფქვილი, გამომცხვარი პური), ტრანსპორტით, ინვენტარით და მუშა-ხელით მომსახურეობა-გასაწევ მეურნეობათა ხარჯზე;

დ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ჩატარებული მუშაობისა და მისი შედეგების ხუთდღიური ჯამლები, ხოლო ა/წ. დეკემბრის 17-თვის—ჩატარებული მუშაობის საბოლოო ანგარიში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს მინდვრის თაგვებთან ბრძოლა საჭირო რაოდენობის შხამით და აგრეთვე სათანადო ხელმძღვანელობით და კონტროლით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი.

## ვაჭრობა. მომარაგება

## 244. დადგენილება ს.კ.ს.

**სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათა მონაწილეობის წესის შეცვლის შესახებ.**

„სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათა მონაწილეობის წესის შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 40, მუხ. 321; სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 180 №-ი 1934 წ. აგვისტოს 4-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც სწარმოებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება:

ა) ჩააბან ის ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი, რომელთაც, კანონით

დადგენილი თესვის გეგმებისათვის გვერდის ახვევის გამო, მიცემული [illegible] დათ მარცვლეული კულტურების დათესვის მტკიცე გეგმა-განრიგები, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ფაქტიურად დათესილი მარცვლეული კულტურების ფართობების მიხედვით და ერთ ჰექტარ ნათესზე ჩაბარების ისეთი ნორმების კვალობაზე, რაც 50%-ით აღემატება იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის დადგენილ ნორმებს, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ;

ბ) ჩააბან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი იმ მარცვლეული კულტურების ნათესების მიხედვით, რაც ამ მეურნეობებმა დათესეს მათთვის დამტკიცებული 1933 წლის საშემოდგომო თესვისა და 1934 წ. საგაზაფხულო თესვის გეგმების ზედმეტად,—დადგენილი ნორმების ნახევარი რაოდენობის კვალობაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათარიშვილი.

1934 წ. აგვისტოს 20
ტფილისი.

---

# ტრანსპორტი

## 245. დადგენილება ს.კ.ს.

**1934 წლის ნოემბრის 7-9-ის რევოლუციონური დღესასწაულის დღეებში ამიერკავკასიის რკინის გზების სადგურებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების უზრუნველყოფის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანოს—ტვირთის გამგზავნელს და მიმღებს, სატრანსპორტო ორგანიზაციებს და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მწარმოებელ ორგანიზაციებს—უზრუნველყონ დაუცადებელი მუშაობა ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის ამიერკავკასიის რკინის გზების ყველა სადგურზე 1934 წლის ნოემბრის 7-9-ის რევოლუციონური დღესასწაულის დღეებში.

**2.** დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1934 წ. ოქტომბრის 31.
ტფილისი.

---

№ 33
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინანსები

## 246. დადგენილება ს.კ.ს.

**იმ ნუსხის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ, რომელშიაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ქონება, რაზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.**

„ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ვადაზე ჩაუბარებელ სავალდებულო ნატურალურ გადასახადთა და ფულად გადასახდელთა გადახდევი᾿ებისა და სასამართლოს წესით ქონების კონფისკაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 31-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 48 №-ი, მუხ. 370), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნუსხაში სხვადასხვა სახის ქონებისა, რომელზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 292), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლიდან ამოშლილ იქნეს „ა“, „გ“, „დ“ და „ვ“ პუნქტები.
2. მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „ბ) საცხოვრებელი სახლი“.
3. დაემატოს მე-2 მუხლს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა.** ამა მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტების მოქმედება არა ვრცელდება იმ ერთპიროვნულ მეურნეობებზე, რომელთაც არ შეასრულეს ვადაზე ვალდებულებანი სახელმწიფოსადმი ნატურალურ ჩაბარებათა სფეროში და არ გადაიხადეს ფულადი გადასახდელი“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ოქტომბრის 21

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 247 №-ში 1934 წ. ოქტომბრის 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 247. დადგენილება ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 83 მუხლის ამოშლისა და 43 და 57 მუხლების შეცვლისა და ამავე დადგენილებისათვის მე-8 მუხლის მე-2 შენიშვნისა და $35^{1}$ მუხლის დამატების შესახებ.**

„1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 45 №-ი, მუხ. 353), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს 1934 წ. ივნისის 15-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139) შემდეგი ცვლილება:

1. 83 მუხლი ამოშლილ იქნეს.

2. მე-8 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა 2. მთლად განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ის შემოსავალი, რასაც კოლექტიური მეურნეობა მიიღებს ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობისათვის (ტყის დამუშავება, ხე-ტყის გამოზიდვა, ხე-ტყის წყლით ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფზე მუშაობისათვის“.

3. დაემატოს $35^{1}$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„$35^{1}$. მთლად განთავისუფლდება გადასახადისაგან ის შემოსავალი, რასაც კოლმეურნე მიიღებს დამზადებაზე მუშაობისათვის (ტყის დამუშავება, ხე-ტყის გამოზიდვა, ხე-ტყის წყლით ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფზე მუშაობისათვის“.

4. 43 მუხლში ამოიშალოს მინიშნება „83“.

5. 57 მუხლის პირველი და მეორე აბზაცები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„57. არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობას თვითეული ერთპიროვნული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სასოფლო საბჭო და დაამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

ამასთანავე, საერთო შემოსავალს გამოაკლდება რეწაობის ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯები: ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, სათბობი მასალისა და სხვა ხარჯი. ამგვარად განსაზღვრული შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში 30%-ის რაოდენობით, ხოლო ხე-ტყის დამზადებაზე

(ტყის დამუშავება, ხე-ტყის გამოზიდვა, ხე-ტყის წყლით ჩამოტივტივება და სხვ.) და ტორფზე მუშაობის შემოსავალი ჩაირიცხება 20 პროცენტის რაოდენობით“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 17.
ტფილისი.

---

## 248. დადგენილება ს.კ.ს.

**1934 წლის შემოდგომაზე ნათესი საგაზაფხულო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის შემოდგომაზე ნათესი საგაზაფხულო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა.

**2.** დაზღვევა გავრცელებულ იქნეს შემდეგი საგაზაფხულო კულტურების საშემოდგომო ნათესებზე: ა) ხორბლისა, ბ) ცერცველისა, გ) იონჯისა, დ) სამყურა ბალახისა და ე) საბოსტნე კულტურების ნათესზე.

**3.** აღნიშნული კულტურების ნათესები იზღვევა დაღუპვისაგან (დაზვრისა, დალბობისა, ჩახარშვისა და წყალდიდობის გამო) დათესვის მომენტიდან გაზაფხულზე ჯეჯილის გამოჩენამდე; ამასთანავე პასუხისმგებლობის ზღვრულ ვადად დადგენილ იქნეს 1935 წ. მაისის 15.

**4.** სადაზღვეო პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები (სადაზღვეო უზრუნველყოფის ნორმები) განისაზღვროს:

1. ხორბლისათვის . . . . . . . . . . . . . . . 75 მან. 1 ჰექტარზე.
2. ცერცველისათვის . . . . . . . . . 100 „ „ „
3. იონჯისათვის . . . . . . . . . . 150 „ „ „
4. სამყურა ბალახისათვის . . . . . . . 130 „ „ „
5. ბოსტნეულისათვის . . . . . . . . . . . 150 „ „ „

**5.** შემოდგომაზე დათესილი ზემოაღნიშნული საგაზაფხულო კულტურების დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური გაიცემა პასუხისმგებლობის დადგენილი ნორმების ფარგლებში, იმისდამიუხედავად, თუ რა კულტურა გარდაითესება დაზარალებული დაზღვეული კულტურის ფართობზე.

**6.** სადაზღვეო საზღაური გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სარაიონო სადაზღვეო ინსპექცია დაზარალებული კულტურის ფართობს სცნობს

გარდასათესად, და უკეთუ გარდათესვა ფაქტიურად მოხდება; წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვეო საზღაური არ გაიცემა.

7. 1934 წლის შემოდგომაზე დათესილი საგაზაფხულო კულტურების სადაზღვეო გადასახდელი განისაზღვრება ყველა ზემოაღნიშნული კულტურისათვის სადაზღვეო უზრუნველყოფის თანხის $7^0/_0$-ის რაოდენობით.

8. პასუხისმგებლობის ზღვრული ვადის (1934 წ. მაისის 15) გასვლისას ნათესები მოიხსნება სახელმწიფო დაზღვევის პასუხისმგებლობიდან ამ სახის დაზღვევის მხრით, და შემდგომში ეს ნათესები ითვლება დაზღვეულად უწყებული ადგილისათვის დადგენილი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის საერთო წესით.

9. საგაზაფხულო კულტურების შემოდგომის ნათესების ამ სახით დაზღვევის გადასახდელი გამოიანგარიშება ქონებისა და ოთხფეხი საქონლის საგაზაფხულო რეგისტრაციის დროს, რაც სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისა და სახელმწიფო დაზღვევისათვის, და იგი შეტანილ უნდა იქნეს იმ პირველ ვადაზე, რომელიც დადგენილია 1936 წლის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელის შეტანისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 17.
ტფილისი.

---

# განათლება

## 249. დადგენილება ს.კ.ს.

### სარკინიგზო ტრანსპორტის სკოლებისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ თუმცა უკანასკნელ წლებში სარკინიგზო ტრასნპორტის დაწყებით და საშუალო სკოლების და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელი თვალსაჩინოდ გაფართოებულია, რკინის გზის საექსპლოატაციო რაიონები და სამეურნეო ორგანიზაციები, აგრეთვე სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სარკინიგზო ტრანსპორტის სასკოლო და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებს.

აღნიშნული სკოლების მუშაობისა, კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან სარკინიგზო სკოლებისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი, რომელსაც დაეკისროს ამ სკოლების ოპერატიული სასწავლო-მეთოდური და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხელმძღვანელობა.

2. განისაზღვროს სარკინისგზო სკოლების და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სექტორის შემდეგი შტატი: 1) სექტორის გამგე, 2) დაწყებითი და საშუალო სკოლის ინსტრუქტორები, 3) სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ინსტრუქტორი, 4) ბუხჰალტერი. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს გაადიდოს კომისარიატის შტატი 5 ერთეულით.

3. სარკინისგზო ტრანსპორტის სკოლებისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სასწავლო წიგნებით დამხმარე სასწავლო ხელსაწყოებით, საწერი საგნებით და დიდაქტიკური მასალით დაუცადებელი მომარაგების მიზნით, წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას უზრუნველყოს, როგორც ტფილისის, ისე მუშათა მომარაგების განყოფილებათა სახაზო წერტები საჭირო რაოდენობის სასწავლო წიგნებით, დამხმარე სასწავლო ხელსაწყოებით და საწერი საგნებით, რისთვისაც გამოყოფილ იქნეს სათანადო ფონდები სარკინისგზო სკოლების და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სექტორისა და ა/კ. რკინის გზის მუშათა მომარაგების საგზაო გაწყობილობათა განცხადების მიხედვით.

4. საშუალო სკოლებით სახაზო სადგურების მუშა-მოსამსახურეთა შვილების სავსებით მოცვის მიზნით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და განათლების სახალხო კომისარიატს გაითვალისწინონ 1935 წლის ბიუჯეტში საჭირო სახსარი ტფილისისა და ხაშურის სარკინისგზო ინტერნატების გასაფართოებლად.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი სარკინისგზო სკოლებისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა შესანახი ყველა სახსრის ცენტრალიზაცია 1935 წლის საბიუჯეტო წლიდან და ამ სახსრის გადაცემა ცენტრალიზებული წესით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უცილობლად განახორციელოს ეს ღონისძიება 1935 წ. იანვრის 1-დან.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად, დააზუსტოს 1935 წელს სარკინისგზო სკოლების ქსელი და კონტინგენტი.

7. მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და ა/კ. რკინის გზების დირექციას გამოსცენ ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სარკინისგზო სკოლებისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სექტორის და ა/კ. რკინის გზების სამმართველოს კადრების მომზადების განყოფილებაში მომუშავე, სოციალური აღზრდის სკოლების ინსპექტორის მუშაობის შესახებ.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ნოემბრის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 250. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს ქვემომდევნო დებულება.

**2.** 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის დეკემბრის 26-ის დადგენილება სათეატრო-საესტრადო რეპერტუარის განხილვისა, დამტკიცებისა და მის შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-ი, მუხ. 174).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ნოემბრის 17.
ტფილისი.

---

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს შესახებ.**

### I. ზოგადი დებულებანი.

**1.** საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველო ანხორციელებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სამხატვრო და სამხედრო კონტროლს, როგორც წინასწარს, ისე შემდგომს, ყოველგვარ სანახაობასა და რეპერტუარზე (თეატრი, მუსიკა, ესტრადა, კინო, გრამაფონის ფირფიტები, მხატვრული რადიომაუწყებლობა).

**2.** სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს სათავეში დგას უფროსი, რომელსაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

**3.** სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს აქვთ ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავიანთი სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. მთავარი სამმართველოს გამგებლობის საგნები.

4. სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარ სამმართველოს ეკისრება:

ა) დრამატიულ, მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ნაწარმოებთა და აგრეთვე საცირკო და საესტრადო გამოსვლების და კინოფილმების დადგმის, საჯარო შესრულების და გავრცელების ნებართვის გაცემა;

ბ) გრამოფონის ფირფიტების ჩაწერის, გამოშვების და გავრცელების ნებართვის გაცემა;

გ) „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ნაწარმოებთა და გამოსვლათა საჯარო შესრულების შემდგომი კონტროლი;

**შენიშვნა.** საჯარო შესრულებისათვის ნებადართულ ნაწარმოებთა ტექსტში და შესრულებაში რაიმე ცვლილების შეტანა, სარეპერტუარო კონტროლის ორგანოებთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია.

დ) მუსიკალურ ნაწარმოებთა, კინო ფილმებისა, გრამოფონის ფირფიტებისა და დრამატიული დადგმების საზღვარგარეთიდან შემოტანის და საზღვარგარეთ გატანის ნებართვის გაცემა;

ე) სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილი, ყველა, როგორც სტაციონარული, ისე მოძრავი, ახლად გახსნილი სანახაობათა საწარმოს რეგისტრაცია და ნებართვის გაცემა სხვა ორგანიზაციების მიერ სანახაობათა პროფესიონალურ საწარმოს გახსნაზე;

ვ) სამხატვრო რადიომაუწყებლობის კონტროლი.

5. მე-4 მუხლში აღნიშნული ამოცანების შესაბამისად სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარ სამმართველოს უფლება აქვს:

ა) აკრძალოს ისეთ დრამატიულ, საესტრადო და მუსიკალურ ნაწარმოებთა, კინო-ფილმებისა და გრამაფონის ფირფიტების საჯაროდ აღსრულება და გავრცელება:

1) რაც შეიცავს აგიტაციას ან პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ;

2) რაც ამჟღავნებს სახელმწიფო საიდუმლოებას;

3) რაც აღძრავს ნაციონალურ და რელიგიურ ფანატიზმს;

4) რაც მისტიურია;

5) რაც პორნოგრაფიულია;

6) რაც გამართული არ არის იდეოლოგიურად;

7) რაც ანტიმხატვრულია;

ბ) ამოიღოს ხმარებიდან ის ნაწარმოებნი, რაც აკრძალულია შესასრულებლად და საჩვენებლად;

გ) კონტროლი გაუწიოს ყველა სანახაობათა საწარმოს რეპერტუარს და დრამატიულ, მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებას და აგრეთვე საცირკო და საესტრადო გამოსვლებს და კინოფილმებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დახუროს, სათანადო საადმინისტრაციო და სასამართლო ორგანოების შეწევნით, სანახაობათა საწარმონი, რომელნიც არღვევენ ან არ ასრულებენ სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებს;

ე) მისცეს თანამდებობის პირნი პასუხისგებაში სასამართლო წესით სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს და მისიადგილობრივი ორგანოების და რწმუნებულების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის;

ვ) ნება დართოს და აკრძალოს საჯარო შესრულებისათვის დანიშნულ ნაწარმოებთა (ნოტები, სანახაობათა დადგმები, გრამოფონის ფირფიტები, კინოფილმები) საზღვარგარეთიდან შემოტანა ან საზღვარგარეთ გატანა;

ზ) გამოსცეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში წესები, ინსტრუქციები და განკარგულებები, რაც სავალდებულოა დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისათვის.

## III. მთავარი სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები და რწმუნებულები.

6. აჭარისტანის ასსრ და აფხაზეთის ასსრ-ში განათლების სახალხო კომისარიატებისა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებისა და სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებების შედგენილობიდან გამოიყოფიან სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს რწმუნებულნი.

ამ რწმუნებულებს ამტკიცებს სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველო აჭარისტანის ასსრ და აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატებისა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილებისა და ადგილობრივი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წარდგენით.

რწმუნებულები ასრულებენ მე-4 მუხლის „ა", „გ" და „ვ" პუნქტებში აღნიშნულ მოვალეობას, და მათ აქვთ ამა დებულების მე-5 მუხლის „ა" „ე" და „ვ" პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები.

## IV. მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის წესის შესახები ინსტრუქციის გამოცემა.

7. სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის წესის შესახებ ინსტრუქციას გამოცემს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

№ 63
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალური უზრუნველყოფა

## 251. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

### პერსონალური პენსიების დებულების მე-16 და 20 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

პერსონალური პენსიების დებულების მე-16 და მე-20 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 4) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„16. პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რა თვისების და ხასიათისაა იმ პირის განსაკუთრებული დამსახურება, რომელსაც პენსია ენიშნება, რამდენად დაკარგული აქვს შრომის უნარი, რა ასაკისაა, რამდენი პირი იმყოფება მის რჩენაზე, და აგრეთვე რა ჩვეულებრივი სამუშაო საშოვარი აქვს მას. ამასთანავე, როგორც საერთო წესი, პერსონალური პენსია არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს თვეში“.

„20. უკეთუ პერსონალური პენსიის თანხა და პერსონალური პენსიონერის მიერ ქონებული სამუშაო საშოვარი, ერთად აღებული, აღემატება 750 მანეთს თვეში, პენსიის რაოდენობა სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს; საშოვრის დაკარგვის ან შემცირებისას პენსია ავტომატურად ან აღდგენილ იქნება მთლად, ან სათანადოდ გადიდებული, ხოლო ისე-კი, რომ საშოვრის და პენსიის საერთო თანხა არ აღემატებოდეს ამა მუხლით დადგენილ მაქსიმუმს.

პენსიის მიცემის შეჩერება არ უსპობს პენსიონერს ყველა სხვა უფლებას და უპირატესობას, რაც მას მინიჭებული აქვს ამა დებულებით.

**შენიშვნა.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, პერსონალური პენსიის დამნიშვნელ კომისიას უფლება აქვს ნება დართოს, გამონაკლისის სახით, პერსონალურ პენსიონერს მიიღოს პერსონალური პენსია მთლად იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მისი საშოვარი, დანიშნულ პენსიასთან ერთად, აღემატება ამა მუხლით დადგენილ მაქსიმუმს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა

### 252. დადგენილება ც.ა.კ.

**მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.**

„შინაგან საქმეთა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. ივლისის 10-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ. კან. კრ. 1934 წ. მე-36 №-ი, მუხ. 283), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გადაცემულ იქნეს ა/კ სფსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ-ში განწესებული სამმართველოს გამგებლობაში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ცენტრალური სამმართველო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან არსებული სათანადო ცენტრალური ორგანოები და მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ყველა ადგილობრივი ორგანო მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მათთან არსებული ცენტრალური და ადგილობრივი არქივებითურთ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიტანოს საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ის ცვლილებები, რაც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

---

## სისხლის სამართალი

### 253. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის $84^1$ მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 263) დაემატოს მე-3 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისეთ ადგილას ცხოვრება, სადაც შემოღებულია საპასპორტო სისტემა, იმ პირისა, რომელსაც არა აქვს პასპორტი ან დროებითი მოწმობა, და რომელსაც უკვე გადაეწყვიტა ადმინისტრატიული გადასახდელი ამა მუხლის 1-ლი ნაწილის წესით,—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. სექტემბრის 9.

ტფილისი.

---

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

### 254. დადგენილება ს.კ.ს.

**იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს „ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე 5 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 208; 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1934 წ 1-ლი №-ი, მუხ. 35; მე-14 №-ი, მუხ. 138; 25 №-ი, მუხ. 199) 33 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად:

„33) იმ დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობა მთავრობის სათანადო ორგანოების დადგენილების თანახმად შეიტანონ მიზნობრივი დანიშნულების გადასახდელი, უკეთუ წარდგენილია მთავრობის სათანადო აქტის ასლი ხვედრი გადასახდელის ანგარიშითურთ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. სექტემბრის 7.

ტფილისი.

---

ფასი 40 კაპ.

**გამომცემელი** — საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველობა — 1934 წ. № 65 პ/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 1 1/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი გადაეცა სტამბას 23/XI; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII; ტირაჟი 1.600.

მთავ. რწმუნ. ს—№ 8709. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1756